RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი – გადარჩენის შანსი თუ მარცხისთვის განწირული ხედვა?

ნინო ლეჟავა

176

ექსპერტის აზრი

RONDELI FOUNDATION
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ნინო ლეჟავა

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი - გადარჩენის შანსი თუ მარცხისთვის განწირული ხედვა?

176

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

შესავალი

უკრაინაში მიმდინარე ომმა ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO), როგორც 30 წევრი სახელმწიფოს კავშირი, ისევ არ არის მზად უკრაინის და საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად, მიზეზს კი კვლავ რუსეთთან კონფრონტაციის თავიდან აცილება წარმოადგენს.[1]

უპრეცედენტო ტრაგედია, რომელიც უკრაინაში ტრიალებს, არ ყოფილა მოულოდნელი. არსებობდა წინაპირობები და დასავლეთსაც ჰქონდა შესაძლებლობა, რამდენიმე გაკვეთილი მიეღო — იქნებოდა ეს 2008 წელს აგვისტოს ომი თუ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაცია, ასევე რუსეთის პრეზიდენტის საჯარო წერილები და განცხადებები, სადაც იგი ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ ხედვას აყალიბებდა,[2] თუ რუსული სამხედრო სწავლებები და ე. წ. სამშვიდობოების განთავსება რუსეთის მეზობელი ქვეყნების შიგნით თუ გარშემო. მართალია, ნატოს ბუქარესტის სამიტიდან[3] 14 წელი გავიდა, მაგრამ საქართველო და უკრაინა ჯერაც სისხლის ფასად იბრძვიან დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად. ამასობაში, ნატოს დაპირება, რომ ეს ქვეყნები აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები, ნელ-ნელა უფერულდება.[4] რუსეთის ე.წ. „სამხედრო ოპერაციამ“ დაამტკიცა, რომ კრემლს არ სჭირდება ომის დაწყების ოფიციალური მიზეზი (Casus Belli), რათა დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომი აწარმოოს. შესაბამისად, ახლა ისე, როგორც არასდროს უკრაინას და საქართველოს სჭირდებათ თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება[5] და საგარეო უსაფრთხოების ალტერნატიული პოლიტიკის გამონახვა მანამ, სანამ ალიანსი მათ დამსახურებულ გაწევრიანებას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს სწამს, რომ ვიდრე ნატოში ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთსულოვნება, ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს იმ ერთადერთ სტრატეგიულ პარტნიორს, რომელსაც შეუძლია დაიცვას უკრაინა და საქართველო - მათთვის **ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის (MNNA)** მინიჭებით.[6] სტატუსის დროულად მინიჭებას შესაძლოა გადამწყვეტი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს უკრაინის და საქართველოს უსაფრთხოებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე ქვეყანა დამოკიდებულია აშშ-ის საგარეო-სამხედრო დაფინანსებასა და გაყიდვებზე[7] და როცა ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობა მათი თავდაცვის შესაძლებლობების ტრანსფორმაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.[8]

რას მოიაზრებს ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი?

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი (MNNA) - ეს არის წოდება, რომელიც აშშ-ის კანონმდებლობით, ენიჭება ამერიკის ისეთ საერთაშორისო პარტნიორს, რომელიც არ არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) წევრი სახელმწიფო. სტატუსი უზრუნველყოფს აშშ-სა და

მოკავშირე ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაძლიერებულ თანამშრომლობას, გარკვეული აქცენტებით თავდაცვის სფეროში ვაჭრობის მიმართულებაზე.[9] ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოკავშირე ქვეყნის მძლავრი თანამშრომლობის სიმბოლო. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სამხედრო-ეკონომიკური პრივილეგიებისა, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს აშშ-ის მხრიდან თავდაცვის უზრუნველყოფის გარანტიას და კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების გაფორმებას ისე, როგორც ამას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მე-5 მუხლი ითვალისწინებს.

აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭების ორი პროცედურული გზა არსებობს.[10] პირველი, რომელსაც ითვალისწინებს აშშ-ის კოდექსის მე-10 თავი[11] და მეორე, რომელიც გაწერილია 1961 წლის აშშ-ის „საგარეო დახმარების შესახებ“ აქტის 517-ე სექციაში.[12] მათ შორის მთავარი სხვაობა სტატუსის მიმნიჭებელ აქტორებსა და სპეციფიკურ პირობებსა და ვადებში მდგომარეობს.[13] აშშ-ის კოდექსის მიხედვით, თავდაცვის მდივანი, ქვეყნის სახელმწიფო მდივნის თანხმობის შემთხვევაში, ქვეყანას ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსს ანიჭებს შემდგომში თავდაცვის დეპარტამენტთან (DOD) კვლევითი და საცდელი პროგრამების მიმართულებით თანამშრომლობისთვის. რაც შეეხება „საგარეო დახმარების აქტს“, იგი აშშ-ის პრეზიდენტს ავალდებულებს, რომ 30 დღით ადრე შეატყობინოს კონგრესს კონკრეტული ქვეყნისთვის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭების შესახებ, შემდგომში შეიარაღების ექსპორტის კონტროლის აქტის გათვალისწინებით.[14] იგივე ვადა მოქმედებს ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის შეჩერების პირობებშიც.

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს ნატოს არაწევრი 17 მთავარი მოკავშირე ჰყავს: ავღანეთი, არგენტინა, ავსტრალია, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ისრაელი, იაპონია, იორდანია, ქუვეითი, მაროკო, ახალი ზელანდია, პაკისტანი, ფილიპინები, სამხრეთი კორეა, ტაილანდი, ტუნისი და ბრაზილია.[15] ახლახან თეთრი სახლის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ აშშ-ის მომდევნო ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირეები იქნებიან კოლუმბია და კატარი.[16]

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის ფორმატი შეიქმნა 1987 წელს, აშშ-ში რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პირობებში, და „საგარეო დახმარების აქტის“ თანახმად, ნატოს არაწევრი პირველი მთავარი მოკავშირეები იყვნენ ავსტრალია, ეგვიპტე, ისრაელი, იაპონია და სამხრეთი კორეა.

უკრაინის და საქართველოს ისტორიული ჩანაწერი ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის კონტექსტში

უკრაინას, საქართველოსთან ერთად, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსთან დაკავშირებული ისტორია უკვე აქვს. 2014 წლის პირველ მაისს რესპუბლიკელი სენატორი ბობ კორკერი, კოლეგების დახმარებით,[17] აშშ-

ის სენატში ინიციატორი იყო „რუსეთის აგრესიის პრევენციის აქტისა“, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისთვის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებას.[18] სამწუხაროდ, მისი ჩანაფიქრი, კანონპროექტის სახით, წარუმატებელი აღმოჩნდა და საკმარისი ხმები ვერ დააგროვა.[19]

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მოპოვების შემდეგი მცდელობა იყო 2014 წლის სექტემბერში „უკრაინის თავისუფლების მხარდაჭერის აქტი“. ეს კანონპროექტი აშშ-ის კონგრესში დარეგისტრირდა და მიზნად ისახავდა ყირიმში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის საპასუხო ქმედებას და ისევ უკრაინის, საქართველოს და მოლდოვისთვის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებას.[20] ამჯერად აქტმა ორპარტიული მხარდაჭერა მოიპოვა და მას აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოაწერა ხელი. თუმცა, აქტმა მხოლოდ ლეტალური და არალეტალური დახმარებით უკრაინის მხარდაჭერის ავტორიზება უზრუნველყო,[21] ვინაიდან მისი საბოლოო სახით მიღებამდე კანონმდებლებმა ამოიღეს ის მუხლი, რომელიც ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა. როგორც პრეზიდენტმა ობამამ უკრაინელ კოლეგასთან აღნიშნა,[22] ამერიკის შეერთებული შტატების და უკრაინის თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაცილებით მაღალ ნიშნულზე იყო, ვიდრე მხოლოდ ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსია.[23]

მიღებული გამოცდილების მიუხედავად, უკრაინას არ შეუწყვეტია სწრაფვა ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსისკენ.[24] 2019 წლის მაისში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში რესპუბლიკელმა მაიკლ მაკკოულმა წარადგინა „უსაფრთხოების სფეროში აშშ-უკრაინის თანამშრომლობის გაძლიერების აქტი“, რომელიც ამჯერად, დამოუკიდებლად, მხოლოდ უკრაინისთვის გულისხმობდა ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭებას.[25] კანონპროექტი დაუყოვნებლივ გადაეცა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს და ორპარტიული მხარდაჭერაც მოიპოვა.[26] თუმცა, იგი 116-ე კონგრესის ფარგლებში[27] შემუშავდა და მას შემდეგ არ განახლებულა.[28]

ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის სარგებელი და რისკები უკრაინისა და საქართველოსთვის

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი არ ეწინააღმდეგება საქართველოს და უკრაინის სურვილს, გახდნენ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ალიანსის „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ (MAP) გამოყენებით. თუმცა, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის ფორმატის ისტორიაში არ მოიძებნება არცერთი სახელმწიფო, რომელიც აღიარეს, როგორც აშშ-ის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირე და შემდგომ გაწევრიანდა ალიანსში. ამასთანავე, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირეების სიაში არ არის არცერთი ევროპული

სახელმწიფო, რომელსაც ეს სტატუსი მიენიჭა და რომელიც მიისწრაფოდა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. მიუხედავად ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მქონე ქვეყნების მრავალფეროვნებისა, არცერთ მათგანს არ შეესაბამება ზემოთ განხილული მახასიათებლები. თუმცა, პრეცედენტის არარსებობა არ ნიშნავს გამოუვალ მდგომარეობას მაშინ, როდესაც თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურა და პრინციპები სწრაფად და რადიკალურად იცვლება და საერთაშორისო აქტორებისგან მოითხოვს სრულიად ახალ მიდგომებს.

მთავარი შეკითხვა შემდეგნაირია: რა შესაძლო სარგებელი თუ უარყოფითი შედეგები ახლავს ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსს? ღირს მისთვის ბრძოლა?

როგორც აღინიშნა, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი არ გულისხმობს კოლექტიურ უსაფრთხოებას და არ ავალდებულებს აშშ-ს, სრულმასშტაბიანი ომის შემთხვევაში დაეხმაროს უკრაინას ან საქართველოს. თუმცა, იგი წარმოადგენს ეფექტიან გზას ვაშინგტონის პოლიტიკური ნების და ურყევი სტრატეგიული პარტნიორობის დემონსტრაციისთვის, რაც დაამტკიცებს, რომ ამერიკისთვის შავი ზღვის რეგიონს და მის სტაბილურ განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი უზრუნველყოფდა უკრაინის და საქართველოს პრივილეგირებულ წვდომას ისეთ ექსკლუზიურ სამხედრო შეიარაღებასა და ტექნოლოგიების შესყიდვაზე, როგორიც ამჟამად ნატოს წევრ ქვეყნებს აქვთ,[29] ასევე დაჩქარებულ საექსპორტო პროცედურებს, აშშ-ის თავდაცვითი საშუალებების არსებული ბალანსის ნამატით სარგებლობას და სწავლებებისა და თავდაცვის ტრანსფორმაციის მიმართულებით პრიორიტეტულ თანამშრომლობას.[30] ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი მოკავშირის ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსების შესაძლებლობასაც მოიცავს, თუმცა, ვინაიდან რუსეთი უკიდურესად წინააღმდეგია მის საზღვრებთან დასავლეთის სამხედრო ძალების განთავსებისა,[31] საწყის ეტაპზე მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საკითხის გამოტოვება.

გარდა ამისა, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის დადებითი მხარე ისიცაა, რომ ალიანსის „გაწევრიანების სამოქმედო გეგმისგან“ (MAP) განსხვავებით, გაცილებით მარტივია ამ სტატუსის მინიჭება, რადგან არც 30 მოკავშირე ქვეყნის კონსენსუსს მოითხოვს და არც გაწევრიანების გეგმას. ეს მხოლოდ პოლიტიკური ნების საკითხია და პრაქტიკულად ხორციელდება კონკრეტულ ქვეყანასთან ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმების გზით.

მეორე მხრივ, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის ფორმატის გაფართოების პრინციპები ნათელია - აშშ მას იყენებს ისე, როგორც გეოპოლიტიკურ მექანიზმს და თავისი ეროვნული ინტერესების გლობალურად გატარების გარანტს.[32] აღნიშნული სტატუსი წარმოადგენს აშშ-ის კომერციულ შესაძლებლობას, რომ გაყიდოს სამხედრო პროდუქტი, ებრძოლოს ტერორიზმს და განათავსოს სამხედრო ბაზები მოკავშირეებთან, როგორც ისრაელისა და იორდანიის შემთხვევაში.[33]

ამასთანავე, თუ გადავხედავთ ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მქონე ქვეყნების სიას, ვნახავთ, რომ არცერთი მათგანი არ იმყოფება რუსეთის წინააღმდეგ ომში.

რაც შეეხება შესაძლო რისკებს, რომელიც ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსს უკავშირდება, სკეპტიკური ხედვით, ამ სტატუსის მიღება უკრაინისა და საქართველოსთვის სამუდამოდ დახურავს ნატოს კარს, ვინაიდან აღნიშნული სტატუსი განკუთვნილია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ გეგმავენ ან რომელთაც არ ძალუძთ ალიანსში გაწევრიანება პოლიტიკური ან გეოგრაფიული მიზეზების გამო.[34] ამასთანავე, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მეშვეობით უკრაინამ და საქართველომ შესაძლოა მიიღონ ფინანსური და სამხედრო დახმარება ვაშინგტონისგან, მაგრამ რუსეთის უკანონო შეჭრის შემთხვევაში, მათ არ ექნებათ აშშ-ის მხრიდან დახმარების გარანტია.[35]

დასკვნა

რუსეთის გაუმართლებელმა და არაპროვოცირებულმა შეჭრამ უკრაინაში ნათელი მოჰფინა იმ ქვეყნების დაუცველობას, რომლებიც კრემლის წინააღმდეგ როგორც კონვენციურ, ისე ჰიბრიდულ ომში არიან. ახლა მოქნილ სამხედრო-ტექნიკურ შესაძლებლობებს, ეფექტიან მიწოდების ჯაჭვსა და გარე დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც უკრაინისთვის, ისე საქართველოსთვის. სანამ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია კვლავ მერყეობს, თუ როგორ განახორციელოს ეფექტური „ღია კარის“ პოლიტიკა პრაქტიკულ დონეზე, უკრაინა და საქართველო უკიდურესად საჭიროებენ ალტერნატიული უსაფრთხოების გარანტიებს. აქედან გამომდინარე, ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მიღება შესაძლოა გამხდარიყო უკრაინის და საქართველოს გრავიტაციის ცენტრი, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ორივე ქვეყანას უკვე აქვს ჩამოყალიბებული სტრატეგიული თანამშრომლობა აშშ-სთან.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქართველოსა და უკრაინას ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსი მიანიჭონ, განსაკუთრებით, მიმდინარე ომის პირობებში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატები მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აირიდოს რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაცია და უფრო გლობალურ დაპირისპირებაში გადაზრდა. თუმცა, საქართველოსა და უკრაინისთვის აშშ-ის ნატოს არაწევრი მთავარი მოკავშირის სტატუსის მიღებას შეეძლო მათი სამხედრო და თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება და რუსეთისთვის მკაფიო გზავნილის მიწოდება. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მთავარი და აუცილებელია, რომ როგორც უკრაინის, ისე საქართველოს საგარეო პოლიტიკის განრიგში დადგეს ალტერნატიული უსაფრთხოების გარანტიების მოძიება და განხილვა.

შენიშვნები

1. Edward Wong and Lara Jakes, "NATO Won't Let Ukraine Join Soon. Here's Why," *The New York Times*, Accessed March 15, 2022, https://www.nytimes.com/2022/01/13/us/politics/nato-ukraine.html

2. ABC News, Russian President Putin Announces Military Operation in Ukraine, Accessed March 15, 2022, https://www.youtube.com/watch?v=mf6cWinJz9k

3. NATO, *Bucharest Summit Declaration*, Accessed March 15, 2022, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

4. Maite Fernandez Simon, "Ukraine's Zelensky asks European leaders to do more but admits NATO membership is not in the cards," Accessed March 15, 2022, https://www.washingtonpost.com/world/2022/03/15/zelensky-remarks-ukraine-nato-membership-russian-invasion/

5. RFE/RL, Radio Liberty, "Macron Reiterates Support For Moldova, Georgia, Who Both Face Breakaway Regions," Accessed March 15, 2022, https://www.rferl.org/a/31725278.html

6. *Helsinki Commission Letter to President Biden March 2022*, Accessed March 15, 2022, *https://www.documentcloud.org/documents/21410594-helsinki-commission-letter-to-president-biden-march-2022*

7. US Department of State, *US security Cooperation with Ukraine*, Accessed March 15, 2022, https://www.state.gov/u-s-security-cooperation-with-ukraine/

8. Zaur Shiryev, "Russian Aggression Prevention Act of 2014, Ramifications for the South Caucasus," The Jamestown Foundation, *Eurasia Daily Monitor* Volume: 11 Issue: 142, Accessed March 15, 2022, *https://jamestown.org/program/russian-aggression-prevention-act-of-2014-ramifications-for-the-south-caucasus/*

9. Bureau of Political-Military Affairs, *Major Non-NATO Ally Status*, Fact Sheet, January 20, 2021. Accessed March 15, 2022 *https://www.state.gov/major-non-nato-ally-status/*

10. Office of the Law Revision Counsel United States Code, US Code, *From Title 22 - Foreign Relation and Intercourse,* Chapter 32 - Foreign Assistance, Subchapter II – Military Assistance and Sales, Accessed March 15, 2022 https://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title22/chapter32/subchapter2&edition=prelim

11. Cornell Law School, Legal Information Institute, *10 US Code § 2350a - Cooperative research and development agreements: NATO organizations; allied and friendly foreign countries*, Accessed March 15, 2022 https://www.law.cornell.edu/uscode/text/10/2350a

12. Committee on International Relations and Committee on Foreign Relations, US House of Representatives US Senate, Legislation on Foreign Relations Through 2002, Volume I-A, as amended (FAA), title 22, USC Section 2321K, Accessed March 15, 2022 https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1868/faa.pdf

13. US Government Publishing Office, United States Code*, Title 22 - Foreign Relations and Intercourse*, Chapter 32 – Foreign Assistance, Subchapter II – Military Assistance and Sales, Sec. 2321k - Designation of major non-NATO allies. 2017 Edition, Accessed March 15, 2022 https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2017-title22/html/USCODE-2017-title22-chap32-subchapII-partII-sec2321k.htm

14. US Government Publishing Office, United States Code, *Title 22 - Foreign Relations and Intercourse*, Chapter 32 – Foreign Assistance, Subchapter II – Military Assistance and Sales, Sec. 2321k - Designation of major non-NATO allies. 2017 Edition, [(FAA §516); (FAA §620G); (FAA §514); (AECA §21(g)]; (Section 589 of the FY01 Foreign Operations Appropriation Act, Public Law 106-429); (AECA §65); Section 1309 of the James W. Nance and Meg Donovan Foreign Relations Authorization Act, Fiscal Years 2000 and 2001, Public Law 106-113), Accessed March 15, 2022 https://www.govinfo.gov/content/pkg/USCODE-2017-title22/html/USCODE-2017-title22-chap32-subchapII-partII-sec2321k.htm

15. US department of State, Bureau of Political-Military Affairs, *Major Non-NATO Ally,* Fact Sheet, published on January 20, 2021, Accessed March 15, 2022 https://www.state.gov/major-non-nato-ally-status/

16. Amy Mackinnon, Foreign Policy, "US Commission Urges Biden to Designate Ukraine, Georgia as Major Non-NATO Allies," Accessed March 15, 2022 https://foreignpolicy.com/2022/03/12/helsinki-commission-biden-ukraine-georgia-major-non-nato-allies/

17. "Republican Senators urge the US to give 'major non-NATO ally' status to Georgia," Agenda, 2 May 2014 - 21:00, Tbilisi, Georgia, Accessed March 15, 2022, https://agenda.ge/en/news/2014/1098

18. US Congress, *S.2277 – Russian Aggression Prevention Act 2014*, Accessed March 15, 2022, https://www.congress.gov/bill/113th-congress/senate-bill/2277

19. *S.227-113th Congress: Russian Aggression Prevention Act of 2014*, Accessed March 15, 2022, https://www.govtrack.us/congress/bills/113/s2277

20. Wikiwand, *Ukraine Freedom Support Act of 2014* sponsored by Senator Bob Mendez and co-sponsored by 14 other Senators, Accessed March 15, 2022, https://www.wikiwand.com/en/Ukraine_Freedom_Support_Act_of_2014

21. The White House, Office of the Secretary, "Statement by the President on the Ukraine Freedom Support Act," December 18, 2014, Accessed March 15, 2022, https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2014/12/18/statement-president-ukraine-freedom-support-act; US Senate Passes Ukraine Freedom Support Act: Second vote held over technical issue, published on Dec. 14, 2014, Accessed March 15, 2022, https://www.youtube.com/watch?v=HAX_oHqHttQ

22. In the meantime, after Afghanistan, President Obama designated Tunisia as MNNA in May 2015.

23. Research Concorde Capital, "White House rejects Ukraine request for major, non-NATO US ally status" Accessed March 15, 2022, https://concorde.ua/rs/daily/item_56773/

24. The House Committee on Foreign Affairs Republicans, Press Release, "McCaul, Engel Introduce Bipartisan Bill to Combat Russian Aggression in Ukraine," published May 30, 2019, Accessed March 15, 2022, https://gop-foreignaffairs.house.gov/press-release/mccaul-engel-introduce-bipartisan-bill-to-combat-russian-aggression-in-ukraine/

25. US Congress, *US-Ukraine Security Cooperation Enhancement Act*, Accessed March 15, 2022, https://www.congress.gov/bill/116th-congress/house-bill/3047?q=%7B%22search%22%3A%5B%22Ukraine%22%5D%7D&r=1&s=7

26. It was also supported by New York Democrat Eliot L. Engel, Illinois Republican Adam Kinzinger and Democrat William R. Keating representing Massachusetts.

27. May 30, 2019, 116th Congress

28. US Congress, *R.3047 - US-Ukraine Security Cooperation Enhancement Act*, Accessed March 15, 2022, https://www.congress.gov/bill/116th-congress/house-bill/3047?s=1&r=1

29. Zaur Shiryev, "Russian Aggression Prevention Act of 2014, Ramifications for the South Caucasus," The Jamestown Foundation, *Eurasia Daily Monitor* Volume: 11 Issue: 142, Accessed March 15, 2022 https://jamestown.org/program/russian-aggression-prevention-act-of-2014-ramifications-for-the-south-caucasus/

30. Lisandra Paraguassu, Anthony Boadle, Reuters, "US to upgrade military ties with Brazil during visit next week: sources," Accessed March 15, 2022, https://www.reuters.com/article/us-usa-brazil-ally-idUSKCN1QV33K

31. Beka Chedia, New Eastern Europe, "US base in Georgia – A scarecrow in Russia's backyard?," November 4, 2019, Accessed March 15, 2022, https://neweasterneurope.eu/2019/11/04/us-base-in-georgia-a-scarecrow-in-russias-backyard/

32. "It is a mechanism for splitting the Arab world into allies and opponents. It is a tool to defend Israel in the Middle East. It is a format for controlling your underbelly in the form of distant Latin America. And this is a way to sew together allies in the British Commonwealth in the framework of the Atlantic-Pacific engagement. And one more important observation: although there are no opponents of Russia among the countries with the MNNA status, there are opponents of China," 112. International, "Major Non-NATO Ally Status - Does Ukraine Need It?," Accessed March 15, 2022, https://112.international/politics/major-non-nato-ally-status-does-ukraine-need-it-64777.html

33. Mariana Budjeryn and Ambassador Thomas Graham Jr., Just Security, "Neither NATO, Nor Nukes: The Answer to Ukraine's security is a Strategic Alliance with the United States," May 20, 2021, Accessed March 15, 2022, https://www.justsecurity.org/76584/neither-nato-nor-nukes-the-answer-to-ukraines-security-is-a-strategic-alliance-with-the-united-states/

34. "Markarova explains why Ukraine needs no MNNA status," Ukrainform, March 15, 2022, Accessed March 15, 2022, https://www.ukrinform.net/rubric-polytics/3311895-markarova-explains-why-ukraine-needs-no-mnna-status.html .

35. Eugene Z. Stakhiv, *The Ukrainian Weekly*, "Defining America's 'national interest' in Ukraine's security," Accessed March 15, 2022, https://www.ukrweekly.com/uwwp/defining-americas-national-interest-in-ukraines-security/

ბიბლიოგრაფია

- Budjeryn, Mariana and Graham Thomas, Just Security, "Neither NATO Nor Nukes: The Answer to Ukraine's security is a Strategic Alliance with the United States," May 20, 2021, Accessed March 15, 2022, https://www.justsecurity.org/76584/neither-nato-nor-nukes-the-answer-to-ukraines-security-is-a-strategic-alliance-with-the-united-states/
- *Bucharest Summit Declaration,* NATO, Accessed March 15, 2022, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm
- Chedia, Beka, New Eastern Europe, "US base in Georgia – A scarecrow in Russia's backyard?," November 4, 2019, Accessed March 15, 2022, https://neweasterneurope.eu/2019/11/04/us-base-in-georgia-a-scarecrow-in-russias-backyard/
- "Cooperative research and development agreements: NATO organizations; allied and friendly foreign countries," Cornell Law School, Legal Information Institute, Accessed March 15, 2022https://www.law.cornell.edu/uscode/text/10/2350a
- *Foreign Relations and Intercourse,* US Code, Chapter 32- Foreign Assistance, Subchapter II – Military Assistance and Sales, Office of the Law Revision Counsel United States Code, Accessed March 15, 2022 https://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title22/chapter32/subchapter2&edition=prelim
- *Helsinki Commission Letter to President Biden March 2022,* Accessed March 15, 2022, *https://www.documentcloud.org/documents/21410594-helsinki-commission-letter-to-president-biden-march-2022*
- *Legislation on Foreign Relations Through 2002*, Volume I-A, as amended (FAA), title 22, USC Section 2321K, Committee on International Relations and Committee on Foreign Relations, US House of Representatives US Senate, Accessed March 15, 2022, https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1868/faa.pdf
- Mackinnon, Amy, Foreign Policy, "US Commission Urges Biden to Designate Ukraine, Georgia as Major Non-NATO Allies," Accessed March 15, 2022, https://foreignpolicy.com/2022/03/12/helsinki-commission-biden-ukraine-georgia-major-non-nato-allies/
- "Macron Reiterates Support for Moldova, Georgia, Who Both Face Breakaway Regions," RFE/RL, Radio Liberty, Accessed March 15, 2022, https://www.rferl.org/a/31725278.html
- "Markarova explains why Ukraine needs no MNNA status," Ukrainform, 15 March 2022, Accessed March 15, 2022, https://www.ukrinform.net/rubric-polytics/3311895-markarova-explains-why-ukraine-needs-no-mnna-status.html
- *Major Non-NATO Ally Status*, Bureau of Political-Military Affairs, Fact Sheet, January 20, 2021, Accessed March 15, 2022, *https://www.state.gov/major-non-nato-ally-status/*
- "Major Non-NATO Ally Status - Does Ukraine Need it?," 112. International, Accessed March 15, 2022, https://112.international/politics/major-non-nato-ally-status-does-ukraine-need-it-64777.html
- "McCaul, Engel Introduce Bipartisan Bill to Combat Russian Aggression in Ukraine," The House Committee on Foreign Affairs Republicans, Press Release, May 30, 2019, Accessed March 15, 2022, https://gop-foreignaffairs.house.gov/press-release/mccaul-engel-introduce-bipartisan-bill-to-combat-russian-aggression-in-ukraine/

- Paraguassu, Lisandra and Boadle Anthony, Reuters, "The US to upgrade military ties with Brazil during a visit next week: sources," Accessed March 15, 2022, https://www.reuters.com/article/us-usa-brazil-ally-idUSKCN1QV33K
- "Republican Senators urge the US to give 'major non-NATO ally' status to Georgia," May 2, 2014, Accessed March 15, 2022, https://agenda.ge/en/news/2014/1098
- "Russian President Putin Announces Military Operation in Ukraine," ABC News, Accessed March 15, 2022, https://www.youtube.com/watch?v=mf6cWinJz9k
- *Russian Aggression Prevention Act 2014,* US Congress, Accessed March 15, 2022, https://www.congress.gov/bill/113th-congress/senate-bill/2277
- Simon, Maite Fernandez, "Ukraine's Zelensky asks European leaders to do more but admits NATO membership is not in the cards," Accessed March 15, 2022, https://www.washingtonpost.com/world/2022/03/15/zelensky-remarks-ukraine-nato-membership-russian-invasion/
- Shiryev, Zaur, "Russian Aggression Prevention Act of 2014, Ramifications for the South Caucasus," The Jamestown Foundation, *Eurasia Daily Monitor* Volume: 11 Issue: 142, Accessed March 15, 2022, https://jamestown.org/program/russian-aggression-prevention-act-of-2014-ramifications-for-the-south-caucasus/
- Stakhiv, Eugene, *The Ukrainian Weekly*, "Defining America's 'national interest' in Ukraine's security," Accessed March 15, 2022, https://www.ukrweekly.com/uwwp/defining-americas-national-interest-in-ukraines-security/
- "Statement by the President on the Ukraine Freedom Support Act," The White House, Office of the Secretary, December 18, 2014, Accessed March 15, 2022, https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2014/12/18/statement-president-ukraine-freedom-support-act;
- *Ukraine Freedom Support Act of 2014 sponsored by Senator Bob Mendez and co-sponsored by 14 other Senators,* Wikiwand, Accessed March 15, 2022, https://www.wikiwand.com/en/Ukraine_Freedom_Support_Act_of_2014
- *US security cooperation with Ukraine,* US Department of State, Accessed March 15, 2022, https://www.state.gov/u-s-security-cooperation-with-ukraine/
- "US Senate Passes Ukraine Freedom Support Act: Second vote held over the technical issue," December 14, 2014, Accessed March 15, 2022, https://www.youtube.com/watch?v=HAX_oHqHttQ
- *US-Ukraine Security Cooperation Enhancement Act,* US Congress, Accessed March 15, 2022, https://www.congress.gov/bill/116th-congress/house-bill/3047?q=%7B%22search%22%3A%5B%22Ukraine%22%5D%7D&r=1&s=7
- "White House rejects Ukraine request for major non-NATO US ally status," Research Concorde Capital, Accessed March 15, 2022, https://concorde.ua/rs/daily/item_56773/
- Wong, Edward and Jakes Lara, "NATO Won't Let Ukraine Join Soon. Here's Why," *The New York Times*, Accessed March 15, 2022, https://www.nytimes.com/2022/01/13/us/politics/nato-ukraine.html